# რედაქტორისგან

ბოლო დროს ტელეეკრანიდან თუ სოციალური ქსელიდან შემზარავი ამბები გვესმის ქალების უმოწყალო მკვლელობაზე.

ყველას გვადარდებს, რაც ჩვენ გარშემო ხდება, გამოვხატავთ პროტესტს, ვგმობთ და ვჩუმდებით – მორიგ შემზარავ ტრაგედიამდე.

ეს დღეებია, იმ ბავშვებზე ვფიქრობ, რომლებიც ასეთ ოჯახებში იზრდებიან, რომელთა დედებს სცემენ, შეურაცხყოფენ, ხოცავენ. ვფიქრობ სკოლაზე, სადაც ისინი სწავლობენ. მასწავლებლებზე, რომლებიც მათ ასწავლიან.

ვერც კი წარმოვიდგენ, როგორ გამიჭირდებოდა, თვალებში შემეხედა ჩემი მოსწავლისთვის, რომელსაც მამამ ან ვინმე სხვამ დედა მოუკლა.

ჩვენ უმეტესად ვიცით ან ვგრძნობთ მაინც, რომელი მოსწავლის ოჯახში არ არის ჯანსაღი გარემო. ვგრძნობთ ასეთ მოსწავლეებსაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვიცავთ.

და სანამ ურემი გზას ასცდება და გადაბრუნდება, გამოსავლის ძიება უნდა დავიწყოთ.

მესმის, ძნელია, მრავალ სხვა პასუხისმგებლობასთან ერთად, მასწავლებელმა თითოეული მოსწავლის ოჯახურ ატმოსფეროსაც ადევნოს თვალი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს – ჩვენ ხომ მასწავლებლები ვართ.

სკოლის კედლებიდან უნდა გამოვატანოთ ბავშვებს იმის ცოდნა, რომ არც ერთი ადამიანი, ქალი თუ კაცი, არ არის ჩვენი საზოგადოების მეორეხარისხოვანი წევრი, რომ ძალადობა შეუწყნარებელია!

ბუნებრივია, ამ საქმეში განსაკუთრებულია თითოეული პედაგოგის როლი, მაგრამ კლასის დამრიგებლებს, სამოქალაქო განათლებისა და ლიტერატურის მასწავლებლებს უფრო მეტი შეუძლიათ.

ქართული ლიტერატურა მდიდარია ტოლერანტობისა თუ ჰუმანიზმის მაგალითებით, მაგრამ სასკოლო პროგრამაში არც ისე ბევრია ძლიერი ქალის სახე და რაც არის, იმასაც ზოგჯერ არასწორი კუთხით ვაჩვენებთ მოსწავლეებს. არ შეიძლება, ბავშვებმა ქალის შესახებ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ იგი მსხვერპლია, შეწირულია, წამებული სამშობლოს სახეა.

ძალიან მინდა, გააქტიურდნენ ჩვენი ავტორები და მკითხველები, უფრო მეტი ვიფიქროთ, მეტი ვწეროთ ამ საკითხებზე, უფრო მეტად ვიხმაუროთ, ერთად ვიმსჯელოთ გამოვლენილი თუ მოსალოდნელი ძალადობის შესახებ, მოვუსმინოთ ერთმანეთს და ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს თუ ახლა არ ხდება ჩვენს ოჯახში, არც ხვალ მოხდება. ნუ ვიქნებით სხვისი გასაჭირის შორიდან მაცქერალნი, რადგან ეს მართლაც საზოგადო ჭირია და მასწავლებლებსა და სკოლას შეგვიძლია გადავარჩინოთ თაობები, ვიხსნათ ძალადობისგან.

**ნატო ინგოროყვა**
*მთავარი რედაქტორი*


# მასწავლებელი

N5(36), 2014

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 ბ-374

**მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, ირინა აბულაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

**ნომერზე მუშაობდნენ:** ვიოლეტა კვირიკაშვილი, ნინო ჭიაბრიშვილი, კახა ყღენტი, მაია ჯალიაშვილი, ირინე სამსონია, ნინო რევიშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია ფირჩხაძე, ეკატერინე ყიფიანი, თეო ჭყოიძე, თეო ნეფარიძე, მაია ინასარიძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

**საკონტაქტო ინფორმაცია:** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

34

## ექსპერტი


მანანა ბოჭორიშვილი

4 **წერილობითი კომენტარები მასწავლებლის პორტფოლიოში**

მასწავლებლის პორტფოლიო არის მისი საქმიანობის და პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასების და პროფესიული წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტების, ეგრეთ წოდებული არტეფაქტების, ერთობლიობა.

ნინო რევიშვილი

8 **მასწავლებელთა პროფესიული კმაყოფილება და მოტივაცია**

მასწავლებლები ხშირად ახსენებენ, რომ მათთვის განსაკუთრებულად რთულია მშობელთა იმ ნაწილთან ურთიერთობა, რომელიც არა იმდენად მოსწავლეების აკადემიური პროგრესით, რამდენადაც მიღებული შემაჯამებელი შეფასებებით არის დაინტერესებული. მშობელთა ამგვარი მოლოდინი, რომელიც ნიშნებზე და არა მიღწევებზე ორიენტირებულია, მასწავლებლებში ფრუსტრირებას იწვევს.

## მოსაზრება


თეო ნეფარიძე

39 **მოსწავლის ელექტრონული პორტფოლიო**

მოსწავლის პორტფოლიოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სარგებელი ისაა, რომ მასზე მუშაობა საჭიროებს ფოკუსირებას როგორც სწავლის პროცესზე, ისე სწავლის შედეგებზე. პორტფოლიო ასევე იდეალურია დიფერენცირებული სწავლების დროს, რადგან ის მეტ-ნაკლებ თავისუფლებას აძლევს მოსწავლეებს, თავად აირჩიონ სამუშაოს წარმოჩენის სტილი.




## გამოცდილება


ეკატერინე ყიფიანი

21 **მივცეთ ბავშვს არჩევანის საშუალება და ის ბედნიერებას ისწავლის**

რაც ჩვენ გარშემო ხდება, გავლენას ახდენს იმაზე, რის გაკეთებასაც ავირჩევთ. გარეგანი სტიმული არ განაპირობებს ჩვენს ქცევას. გარემოდან ვიღებთ მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციას. როგორ მოვიქცევით ამ ინფორმაციის საპასუხოდ, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული.


## კვლევა


კახა ჟღენტი

46 **ჩვენი ბავშვობის უკურნებელი ჭრილობები**

სკოლა საზოგადოების მცირე მოდელია. აქ მიღებული გამოცდილება პიროვნული მახასიათებლების სახით მთელი ცხოვრება მიჰყვება ბავშვს. მოცემული კვლევა მძაფრად წარმოაჩენს საჯარო განათლების პრობლემებს, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვების პიროვნულ განვითარებაზე.

# შინაარსი

8


**რესურსი**

ირინა სამსონია

12 **კითხვის დიფერენცირებული სწავლება: რამდენიმე პრაქტიკული რჩევა მასწავლებლებს**

სწავლებაში დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებით მასწავლებელი ისე აგებს გაკვეთილს, რომ ყველა მოსწავლეს მიეცეს სწავლისა და მიღებული ცოდნის გამოვლენის სხვადასხვაგვარი საშუალება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიფერენცირებული სწავლება მოსწავლეებს სთავაზობს ინფორმაციის/ცოდნის მიღების, მისი გადამუშავებისა და გააზრების, ასევე გამოვლენის მრავალ განსხვავებულ გზას.

27-30

მაია ფირჩხაძე

16 **ცოდნის სისტემატიზაციის, გამეორებისა და განზოგადების ფორმების გამოყენება სასწავლო პროცესში**

გაკვეთილი – ეს რთული საგანმანათლებლო სისტემაა, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ღირებულებების ფორმირებისკენ, გონებრივი განვითარებისკენ, პიროვნული ჩამოყალიბებისკენ. ამავე დროს იგი სწავლების დინამიკური და ვარიანტული ფორმაა, რომელშიც აისახება ორი ურთიერთსაპირისპირო ელემენტი – ნორმატიული და შემოქმედებითი.

**რესურსი**

ვიოლეტა კვირიკაშვილი

25 **წერითი მეტყველების განვითარების გზები დაწყებით კლასებში (წერით მეტყველებაზე გადასვლა და მისი თავისებურებანი)**

გადამწყვეტი როლი მასწავლებელს აკისრია. იგი ერთთავად ცდილობს, მოსწავლეებმა სათქმელი მოფიქრებულად, აზრობრივად და ლოგიკურად გამართულად ააგონ; აძლევს საშუალებას ფიქრის, ანალიზისა და დასაბუთებისათვის.

მაია ჯალიაშვილი

31 **მასწავლებლობა – მუდმივი ძიების გზა**

მოსწავლე და მასწავლებელი არ უნდა იყვნენ სხვადასხვა განზომილებაში. სკოლა არ უნდა იქცეს მოსწავლისთვის ადგილად, სადაც მას რაიმეს აიძულებენ. სკოლა უნდა იყოს ცხოვრების ორგანული ნაწილი და არა – დოგმებისა და შაბლონების არქივი. სასწავლო პროცესი უნდა იყოს ცოცხალი, აქტიური და მოსწავლისთვის ხელშემწყობი სიახლეების აღმოჩენაში.

მაია ინასარიძე

35 **პროფესიული თვითგანვითარება და მისი ბარიერები**

არსებობს კი მასწავლებელი, რომელსაც არ აქვს პროფესიული თვითგანვითარების სურვილი? სამწუხარო რეალობაა, მაგრამ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ ასეთი მასწავლებლების რაოდენობა არცთუ ისე მცირეა.

თეო ჭყოიძე

42 **ემოციები და სწავლა**

ემოციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, რომ – უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე გონებრივი შესაძლებლობები. კარგად განვითარებული ემოციური ინტელექტი ადამიანის წარმატებას განაპირობებს როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე პროფესიულ საქმიანობაში.

ნინო ჭიაბრიშვილი

50 **ცოდნის ეკონომიკის არსი და მნიშვნელობა თანამედროვე კონტექსტში**

ცოდნა პროდუქტია, რომელიც, ერთი მხრივ, კერძოა (შეიძლება მისი მითვისება), მეორე მხრივ კი – საზოგადოებრივი (ყველას საკუთრებაა). მისი გაზომვა შეიძლება მის წარმოებაზე დახარჯული რესურსებითა და გაყიდული ცოდნის საბაზრო ღირებულებით. დანახარჯები უკავშირდება კვლევასა და შემუშავებას, უმაღლეს განათლებასა და პროგრამულ უზრუნველყოფას.